ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 2016 №207 (7133) ფასი: 50 თეთრი

## მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებლები 216-ლარიან პენსიას მიიღებენ

გვ.4



1 სექტემბრიდან
მანანა ამირეჯიბი
მე და ჩემი წილი მამა




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

# „ნაციონალებს მიშას ხელი დააკლდათ“

გვ.2







რამაზ საყვარელიძე: „პარტიების პასიურობა არ მიკვირს“



## რუსეთის პატრიარქი აფხაზებისგან ახალ ათონს ითხოვს

გვ.3

რელიგიური სკანდალი აფხაზეთში



## თინა ხიდაშელი: „იზორიას უპასუხისმგებლობა ყოველგვარ ზღვარს გადადის“

გვ.2



## ლევან იზორია: „თავდაცვის სამინისტროში მყვინთავ-ინსტრუქტორებს სერთიფიკატები არ აქვთ“

გვ.2



ISSN 1987-9385
9 771987 938006



## გიორგი მარგველაშვილი: „დაპირისპირებები არ განმეორდება“

გვ.4



## იაგო შარაძის დედა: „მივმართავ იზორიას, როგორც და — ძმას, იღონეთ რამე“

გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ნაციონალებს მიშას ხელი დააკლდათ“

ნონა ცაბაძე



ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.

***– ბატონო რამაზ, არჩევნებამდე დიდი დრო აღარ დარჩა, პოლიტიკურ პარტიებში კი სერიოზული გააქტიურება არ იგრძნობა. ზაფხულის ცხელი დღეებია ხელის შემშლელი თუ მათ რეალურად არ გააჩნიათ წინასაარჩევნო პროგრამა?***

– ალბათ ბევრი რამე ერთად ხდება. პოლიტიკური სეზონი კი მოგვადგა კარზე, ალბათ სექტემბრისთვის იმარაგებს ყველა ძალას, რომ მთავარი სვლები სექტემბერში გააკეთონ. პროგრამები არ ჩანს და თუ ჩანს, ისინიც ხაჭაპურებივით ერთმანეთს ჰგავს.

***– ასევე არ არსებობს საარჩევნო სია, თუნდაც მმართველი გუნდის. რას ან ვის ელოდებიან? ბიძინა ივანიშვილს? საუბარია, რომ ის ძალიან განაწყენებულია „ოცნებაზე“, საკუთარ გუნდზე, რადგან იმედები გაუცრუეს. ისევ თვითონ ხომ არ ჩაუდგება პროცესს სათავეში?***

– სათავეში ჩასადგომად უკვე ძალიან გვიანია. ძალიან ცოტა დროა დარჩენილი იმისთვის, რომ მხედართმთავარმა ახალი სტრატეგია განახორციელოს, თუკი ამ თვალით შევხედავთ ივანიშვილს. რაც შეეხება განაწყენებას, ცოტა ღიმილის მომგვრელია მისი მხრიდან განაწყენება, იმიტომ, რომ კარგად იცოდა, როგორი პოლიტიკური სუბიექტები შეარჩია ჯერ თავის დროზე, რესპუბლიკელები, ალასანია და ასე შემდეგ. ანუ ის გუნდები, რომლებსაც გამარჯვების გამოცდილება ისედაც არ ჰქონდათ. საარჩევნო პროცესში გამარჯვებას თავისი გამოცდილება უნდა.

შემდეგ მან შემოიკრიბა თავისი გუნდი, საკმაოდ რთულ პირობებში, ნაციონალური მოძრაობის ტერორის ქვეშ დაიყენა ეს ადამიანები გვერდით.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, კალაძე, მაგალითად, კობახიძე და ასე შემდეგ.

***– ვერ გაართვა თავი კალაძემ დაკისრებულ ვალდებულებებს?***

– არ ვიცი. ჯერჯერობით მიჭირს თქმა. იმიტომ, რომ ყველა პოლიტიკური პარტია დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაშია.

***– რითი ხსნით ამ ყველაფერს, რატომ არის მკვდარი პოლიტიკური პროცესი?***

– ინერციით მუშაობენ პარტიები. ეს პასიურობა, საარჩევნო გეგმის უქონლობა არ არის გასაკვირი. ერთადერთ გამონაკლისად შემიძლია სააკაშვილი დავასახელო, რომელსაც ჰქონდა ხოლმე ასეთი სტრატეგიული გეგმები. იცოდა, რას აკეთებდა. იქ ვილაცებს მილებს გადაუჭრიდა, სახურავებზე გაირბენდა, კორუფციას ვებრძვიო და ამ მიმართულებით დაალაგებდა მთელ საარჩევნო კამპანიას. ამ ტიპის მუშაობას საარჩევნო ბრძოლის გამოცდილება ესაჭიროება.

***– ანუ სააკაშვილს ჰქონდა ეს გამოცდილება და ამათ არ აქვთ?***

– პარტიები გამოუცდელნი არიან საარჩევნო ბატალიებში, ხოლო ვინც გამოცდილია, ნაციონალებს ვგულისხმობ, მათ მცირე მხარდაჭერა აქვთ და ბოლო ხანებში ისინიც შეცდომებს უშვებენ პიარის თვალსაზრისით. სანდრა რულოვსმა რომ განაცხადა სამეგრელოში, გპირდებით, მეტს აღარ ვიზამთო, მსგავს შეცდომებს ნაციონალები ადრე არ უშვებდნენ.

***– ეს რისი ბრალია? დაიღალნენ?***

– არ ვიცი. სანდრას განცხადება იყო აღიარება. ანალოგიური მანამდე ბაქრაძემაც განაცხადა. როგორც ჩანს, მიშა იყო მათი ცენტრალური დირიჟორი. დადგმები, არქიტექტურა, საარჩევნო კამპანიის დადგმებიც და მისი არქიტექტურაც მის ფუნქციაში შედიოდა.

***– ანუ მიშას ხელი მოაკლდათ?***

– მე მგონი, მიშას ხელი მოაკლდათ.

***– ახლახან რესპუბლიკური პარტია 35 წევრმა დატოვა და „ოცნების“ რიგებს შეუერთდა. როგორც ბურჭულაძის შემთხვევაში, ახლაც გაკეთდა შეფასებები, რომ ეს არის ხელისუფლების სტრატეგია, რესპუბლიკელებს წაართვეს წევრებიო. რამდენად რეალურია ეს შეფასებები, ასე ებრძვის „ოცნება“ ოპონენტებს?***

– კაცმა რომ მეორე კაცს ცოლი წაართვას, დააშოროს ცოლი და ქმარი ერთმანეთს, ამაში ქმრის ბრალი არაფერი იქნება?!

***– საით მიანიშნებთ, რომ საკუთარ ცოლს ვერ მოუარა?***

– დიახ, ასეა. საერთოდ, ქმრის სირცხვილად ითვლება ასეთი ფაქტი. პოლიტიკაში კი ბოროტ განზრახვას ვხედავთ იმაში, რატომ გადმოიბირა? პოლიტიკური ბრძოლაა და თუ შეუძლია გადმობირება, სწორედაც რომ უნდა გადმოიბიროს. თუმცა მეეჭვება, ასეთი პროცესი ყოფილიყო.

***– რატომ გეეჭვებათ?***

– იმიტომ, რომ ყველა ეს გადასვლა იხსნება ძალიან მარტივად, ადამიანებს ურჩევნიათ სახელისუფლო ძალასთან ყოფნა. როგორც კი გამოდის ხელისუფლების სტრუქტურიდან ესა თუ ის პოლიტიკური გუნდი, ალასანია, რესპუბლიკელები და ასე შემდეგ, მათგან მიგრაცია იწყება სახელისუფლო გუნდისკენ.

***– ანუ მომხიბვლელობა დაკარგა რესპუბლიკურმა პარტიამ?***

– დიახ, პოლიტიკური ძალაუფლების მომხიბვლელობა დაკარგა.

***– ბურჭულაძის შემთხვევაში რა მოხდა? ის ხომ არ ყოფილა სახელისუფლო გუნდში? ის ხომ თავიდანვე ოპოზიცია იყო? რატომ შემოეფანტა მხარდამჭერები?***

– ბურჭულაძემ მოკიდა ხელი თავისი პარტიის საჭეს და გადაატრიალა ნაციონალების მხარეს. არ უნდა ამ საზოგადოებას ამ ნაციონალების მხარეს ცურვა და მოკალი. ნაციონალები პოპულარულნი რომ ყოფილიყვნენ, 2012-შივე დარჩებოდნენ ხელისუფლებაში. არ არიან პოპულარულები, მთელი რიგი პოლიტიკური, ეთიკური, ძალადობრივი და უამრავი სხვა მიზეზის გამო.

***– რესპუბლიკელები დარჩებიან პარლამენტს გარეთ?***



## რამაზ საყვარელიძე: „პარტიების პასიურობა არ მიკვირს“

– ყველა პარტია, „ოცნებისა“ და ნაციოანლების გარდა, დგას ბარიერის პრობლემის წინაშე. გამონაკლისი არც რესპუბლიკელები არიან. კოალიციიდან რომ გამოვიდნენ, ველოდი მათგან გააქტიურებას, ამომრჩევლის გულის მოგებას, თუმცა არც ერთმა პარტიამ არ გააკეთა ეფექტური სვლები.

***– არჩევნებამდე უნდა ველოდოთ სიურპრიზებს, გაგრძელდება პარტიიდან პარტიაში გადასვლა-გადმოსვლები?***

– გადასვლა-გადმოსვლები იქნება, ოღონდ ასეთი ინტენსივობის არა. არჩევნების დადგომამდე ალბათ კიდევ გამოქვეყნდება სოციოლოგიური მონაცემები და პარტიის წევრები მისცემენ რეაქციას იმ რეიტინგზე, რომელიც მათ პარტიას აქვს.

# თინა ხიდაშელი: „იზორიას უპასუხისმგებლობა ყოველგვარ ზღვარს გადადის“



– ბატონი იზორიას უპასუხისმგებლობა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის.

ამის შესახებ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში განაცხადა, რითაც გონიოში დაკარგულ სამხედროებთან დაკავშირებულ საქმეზე თავდაცვის უწყების მოქმედი ხელმძღვანელის, ლევან იზორიას მიერ გაკეთებულ განცხადებებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

ხიდაშელის აზრით, იზორიას განცხადებები ჯარის დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

– ეს წვრთნები დაიგეგმა 2011 წელს. ბატონი იზორიას უპასუხისმგებლობა კი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის.

მე ვთქვი, რომ მაქსიმალურად შევეცდები მასზე, როგორც თავდაცვის მინისტრზე არ ვისაუბრო, იმიტომ, რომ ჩემთვის ჯარის პრესტიჟი ყველაზე მთავარია, მაგრამ როცა უწყებაში მოდის ხელმძღვანელი, რომელიც ყოველდღიურად ყველაფერს აკეთებს ჯარის დისკრედიტაციისთვის, ამაზე, რა თქმა უნდა, ვერ გავჩერდები. მისი ყველა განცხადება, რომელიც ამ საქმეს ეხებოდა, მიმართული იყო ჯარის დისკრედიტაციისკენ. თავდაცვის მინისტრს არავითარი უფლება არ აქვს ილაპარაკოს იმ საქმის შესახებ, რომელზეც გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა და ისეთი განცხადებები აკეთოს, რომლებიც გვესმის. პირველი – მან თქვა, რომ მასობრივი დანაშაული იყო ჩადენილი. ფაქტობრივად, სრულიად შეიარაღებულ ძალებს დასდო ბრალი, რადგან მასობრივი დანაშაული ნიშნავს ბევრი სამხედრო ოფიცრის მონაწილეობას დანაშაულში და მეორე – რაც დღეს ბრძანა, რომ თურმე ჩვენ ქვეყანაში ინსტრუქტორები არ გვივარგა და არავითარი მზადყოფნა არ არის წვრთნებისთვის. იმეცადინოს – შეიარაღებულ ძალებში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ჭკვიანი ადამიანები, ვისი გაშვებაც ვერ მოასწრო და რომლებიც ეტყვიან, რამდენი წვრთნა ტარდება მუდმივად, პარალელურ რეჟიმში. შემთხვევები ხდება. თავდაცვის სამინისტროს ვალი არის ის, რომ გაარკვიოს, ეს შემთხვევები არის უბედური შემთხვევები თუ ვილაცის დაუდევრობით გამოწვეული და არა ის, რომ თავდაცვის მინისტრმა წინასწარ რეცეპტები გამოწეროს და ხან მასობრივ დანაშაულზე ილაპარაკოს და ხან იმაზე, რომ საერთოდ ინსტრუქტორები არ გვივარგა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

# ლევან იზორია: „თავდაცვის სამინისტროში მყვინთავ-ინსტრუქტორებს სერთიფიკატები არ აქვთ“

– დღემდე არ არსებობდა პროცედურები, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მყვინთავ მებრძოლთა კურსების წვრთნები.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა და განმარტა მისივე ნათქვამი, რომ მყვინთავ მებრძოლთა კურსები 2011 წლამდე პრაქტიკულად არ არსებობდა.

როგორც იზორიამ აღნიშნა, ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა კონკრეტული დარღვევები, კერძოდ ის, რომ წლების განმავლობაში არ არსებობდა და 2011 წელს დაიწყო მყვინთავ მებრძოლთა კურსები და ამის მიუხედავად, არ არსებობდა კონკრეტული პროცედურები, რომლითაც უნდა წარმართულიყო აღნიშნული წვრთნები.



– ყველა განვითარებულ ქვეყანაში, როდესაც წვრთნები ეხება თითოეული ადამიანის, ამ შემთხვევაში ჯარისკაცების უსაფრთხოებას, განსაკუთრებით კი მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, აუცილებელია არსებობდეს მსგავსი პროცედურები.

თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში ინსტრუქტორის სერტიფიკატი არ გააჩნდათ იმ პიროვნებებს, ვინც ახორციელებდა ამ წვრთნებს. ხაზგასმით ვამბობ – ინსტრუქტორის სერთიფიკატი და არა მყვინთავის სერთიფიკატი. აქედან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტროს უწყებაში დამატებით მოვიკვლიეთ, ამ 6-7 წლის განმავლობაში ოფიციალურად არსებობდა თუ არა ინსტრუქტორი, რომელსაც ექნებოდა სერთიფიკატი. სამწუხაროდ, ასეთი ვერსად აღმოვაჩინეთ, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

# „პარტიზანული მებაღეობის“ წევრებს მერიასთან კარავის გაშლის უფლება მისცეს

„პარტიზანული მებაღეობის“ წევრებმა თბილისის მერიის შენობასთან კარავი გაშალეს. ადგილზე „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენელი ნატა ფერაძე და სხვა აქტივისტები იმყოფებოდნენ.



ნატა ფერაძე და სხვა „პარტიზანი მებაღეები“ მერიასთან თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესის შემდეგ მივიდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ მერიასთან კარვის გაშლის უფლება მიეცათ. საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სარჩელით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მიმართა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსეთის პატრიარქი აფხაზებისგან ახალ ათონს ითხოვს

## რელიგიური სკანდალი აფხაზეთში

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში სერიოზული პოლიტიკურ-რელიგიური სკანდალი მწიფდება. აფხაზი სასულიერო პირების და პოლიტიკოსების ნაწილი რუსეთის პატრიარქს უპირისპირდება.**

**რუსეთის პატრიარქმა კირილმა თავისთან დაიბარა აფხაზი დეპუტატები და ახალი ათონის გადაცემა მოითხოვა. კირილს დეპუტატებისთვის უთქვამს, რომ ამის პირობა აფხაზეთის პრეზიდენტმა მისცა.**

ახალი ათონის მიმართ რუსეთის საპატრიარქოს რომ დიდი ინტერესი აქვს, ეს რამდენიმე წლის წინაც გამოჩნდა. სწორედ ამას მოჰყვა აფხაზეთის ეკლესიის ორად გახლეჩვა.

2011 წლის ადრიან გაზაფხულზე რუსეთის პატრიარქმა ახალ ათონში რუსი სასულიერო პირი მიავლინა სვიმონ კანანელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღოლად. ამ გადაწყვეტილებას მონასტრის საძმოში დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირაში დიდი საეკლესიო-სახალხო შეკრებაც შედგა. ახალგაზრდა სასულიერო პირები ღიად დაუპირისპირდნენ აფხაზური ეკლესიის წინამძღოლ ბესარიონ აპლიას და ცალკე სამიტროპოლიო შექმნეს.

ორივე დაჯგუფება აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას ითხოვს. აპლიას ფრთა ამას მოსკოვიდან ელოდება, ხოლო ახალგაზრდები კონსტანტინეპოლიდან ელოდებიან პასუხს. რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდები მსოფლიო პატრიარქსაც შეხვდნენ. ახალგაზრდების დაჯგუფებას დოროთე დბარი ხელმძღვანელობს. მას სასულიერო განათლება საბერძნეთში აქვს მიღებული. ის აფხაზეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ დღეებში მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბევრი უნიკალური ეკლესია-მონასტერია. რუსებს მათი მოლოცვის და მონახულების დიდი სურვილი აღმოაჩნდათ. ჰოდა, რუსეთის საპატრიარქომ გადაწყვიტა, ამით ფული იშოვოს. ფულის შოვნაზე უარს არც ადგილობრივი ხელისუფლება ამბობს. რუსების განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ არის ახალი ათონი.



რუსეთის პატრიარქი კირილი



დოროთეი დბარი

ამ დღეებში აფხაზეთში რელიგიური ტურიზმის განვითარებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების მასპინძელი აფხაზეთის კულტურის სამინისტრო გახლდათ. ორგანიზატორებმა შეხვედრაზე დოროთეი დბარიც მიიწვიეს. ღონისძიება მოსკოვის სახლში ტარდებოდა.

სოხუმში რუსეთის საპატრიარქოს დელეგაციაც იმყოფებოდა. რუსულმა დელეგაციამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ დბარს ღონისძიება დაეტოვებინა.

ამ ფაქტმა აფხაზებში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ისიც ვერ მოუნელებიათ, რომ პატრიარქი კირილი უხეშად ერევა აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში.

მის ბოლო ჩარევას კი დიდი სკანდალი მოჰყვა. როგორც ყოფილი დეპუტატი დავით ფილია ამბობს, დოროთეი დბარს რუსები და ბესარიონ აპლია მტრულად შეხვდნენ.

როგორც ფილია ეხოკავკაზთან საუბარში ამბობს, დაჯდა თუ არა დბარი დარბაზში, მოსკოველი სტუმრები დაფაცურდნენ და მოითხოვეს მისი წასვლა.

ორგანიზატორებს რუსების განაწყენება არ სურდათ და მათ მიერვე მოწვეული დბარი გააგდეს. სასულიერო პირს ღონისძიებიდან წასვლა კულტურის მინისტრმა და მისმა მოადგილემ სთხოვეს.

დბარმა ეს მოთხოვნა გააპროტესტა, მაგრამ იქაურობა სკანდალის გარეშე დატოვა. სკანდალი მისი წასვლის შემდეგ დაიწყო და ალბათ დიდხანს გაგრძელდება.

წასვლამდე მან ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთისადმი მონურ მორჩილებაში დაადანაშაულა.

– თქვენ, ჩვენს მმართველებს, არ გრცხვენიათ ამის გამო? განა თქვენ არ ხართ ამ ღონისძიების ორგანიზატორები და ქვეყნის ბატონპატრონები? მოსკოვიდან ჩამოსული პირები როგორ ითხოვენ, რომ მე ღონისძიება დავტოვო, სირცხვილია და აფხაზი ერის უპატივცემულობაა, – უთხრა წასვლამდე დბარმა საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

რუსების საქციელით აღშფოთებულია დავით ფილიაც. ამის მიუხედავად, ის ცდილობს, მომხდარში ქართული კვალი დაინახოს. მისი მტკიცებით, რუსი სასულიერო პირები იქ ქართული ეკლესიის კურთხევის გარეშე ვერ მოხვდებოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ეკლესია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კვლავ საქართველოს ნაწილად აღიარებს. ამის მიუხედავად, რუსი სასულიერო პირები საქართველოს საპატრიარქოს გარეშე მშვენივრად დადიან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ყოფილი დეპუტატის განცხადებით, აფხაზეთის ხელისუფლებამ მთელ აფხაზ ერს მიაყენა შეურაცხყოფა. მისი თქმით, რუსებს უფლება არ ჰქონდათ, აფხაზეთის მოქალაქე გაეძევებინათ აფხაზეთში გამართული ღონისძიებიდან.

– ისინი სტუმრები იყვნენ, დბარი კი აფხაზეთის მოქალაქეა. მის მიმართ ასე მოქცევა მორწმუნე აფხაზების შეურაცხყოფაა, – ამბობს ფილია.

მას ეჭვი აქვს, რომ ეს ყველაფერი ახალ ათონს უკავშირდება. ყოფილი დეპუტატი რუსულ მედიასთან საუბარში ამბობს, რომ რუსეთის პატრიარქმა ღიად მოითხოვა მათთვის ახალი ათონის გადაცემა.

– რუსეთის პატრიარქმა დაიბარა აფხაზი დეპუტატები და პირდაპირ უთხრა, რომ ახალი ათონი მათ უნდა გადაეცეს. კირილის თქმით, მას ამას პრეზიდენტი დაჰპირდა. რუსეთის პატრიარქმა დეპუტატებს უთხრა, რომ ამ მოთხოვნას მეორედ აღარ გაიმეორებს, – აღნიშნავს ექსდეპუტატი.

მისი განცხადებით, ახალი ათონის გარშემო ძალიან არაჯანსაღი პროცესები მიმდინარეობს.

როგორც ფილია ამბობს, დბარს და სხვა ახალგაზრდა სასულიერო პირებს ახალი ათონის მიმართ სხვა ზრახვები აქვთ და უნდათ, რომ იქ სამონასტრო ცხოვრება იყოს.

სხვა ძალებს, მათ შორის რუსეთის საპატრიარქოს კი აქ ფულის შოვნა სურთ, რაშიც მათ ხელს დბარის და მისი გარემოცვა უშლის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დბარი წირვა-ლოცვას აფხაზურ ენაზე აღავლენს, სხვები კი რუსულად ევედრებიან უფალს.

ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ ამ ამბავმა საზოგადოებაზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა. ფილიას თქმით, აფხაზები არ დაუშვებენ, რომ ახალი ათონი ვიღაცამ კომერციული ინტერესებისთვის გამოიყენოს.

– ახალი ათონი არ არის მარტო მონასტერი. ახალი ათონი არის აფხაზეთის ძველი დედაქალაქი და იქ ჩვენი სულია. ამიტომაც ის უნდა დავიცვათ, – ამბობს ფილია.

# გიორგი კვირიკაშვილი: „გვჭირდება აზერბაიჯანთან უნისონში მოქმედება“

**– გვჭირდება აზერბაიჯანთან უნისონში მოქმედება, რომ დავიწყოთ საუბარი ჩვენი რეგიონის გავლით უფრო დიდი მასშტაბის ტრანზიტზე.**

**ჩვენი სამხრეთკავკასიური ლოგისტიკური დერეფნის გავლით, შესაძლებელია ძალიან დიდი მოცულობის ტვირთების მოზიდვა.**

ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება აზერბაიჯანთან ერთად უნისონში მოქმედება, მათ შორის ერთობლივი ვიზიტები როგორც ჩინეთში, ასევე ინდოეთში, იმისთვის, რომ დავიწყოთ საუბარი გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის ტრანზიტზე ჩვენი რეგიონის გავლით.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტი შეაჯამა და აღნიშნა, რომ როგორც პრეზიდენტ ალიევთან, ისე პრემიერ-მინისტრ რასიზადესთან განხილული იყო ორმხრივი ურთიერთობების ძალიან ბევრი საკითხი.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ურთიერთობები, ხოლო ხალხებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ.

– ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონული ეკონომიკური პროექტები, რომლებსაც აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა – ეს არის სამხრეთის გაზის დერეფანი ანუ სამხრეთკავკასიური გაზსადენის პროექტი, რომლის მიმდინარეობაზეც ვისაუბრეთ.

ვისაუბრეთ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მიმდინარეობაზე, განვიხილეთ ერთიანი სატარიფო სისტემის შემუშავების საკითხი ჩვენს ლოგისტიკურ დერეფანში. ასევე ვისაუბრეთ ახალი ტვირთების დამატების შესაძლებლობებზე, მათ შორის, როგორც ჩინეთიდან, ასევე ინდოეთიდან, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მსგავსი პროექტების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა, რაც ასევე იყო საუბრის თემა გამართულ შეხვედრებზე. ყურადღება ინფრასტრუქტურულ მოდერნიზებასაც დაეთმო, რადგან გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, შესაბამისი, ძალიან მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურის გარეშე, ასეთი ტრანზიტის მოზიდვა შეუძლებელია.

– ამ ყველაფერზე საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა იყო პრეზიდენტთან და მანამდე, პრემიერ-მინისტრთან, როგორც პირისპირ – ისე გაფართოებულ ფორმატში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე უპასუხა კითხვას, ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ტრანსანატოლიური გაზსადენის პროექტს რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკებები შემაერთებელი გაზსადენის საკითხზე. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, არც ტრანსანატოლიურ და არც ტრანსადრიატიკულ გაზსადენს არაფერი ემუქრება, რადგან იქ უკვე ყველაფერი დაკონტრაქტებულია, როგორც ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე გასატარებელი გაზის მოცულობა.

– მოპოვებიდან დაწყებული, რეალიზაციით დამთავრებული, იქ ყველაფერი დალაგებულია. ამიტომ, ამ სურათს ვერაფერი შეცვლის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



რაც შეეხება რუსეთისა და თურქეთის შემაერთებელი გაზსადენის საკითხს, პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის.

– ვნახოთ, როგორ განვითარდება მოლაპარაკებები რუსეთსა და თურქეთს შორის. ჯერჯერობით რაიმე კონკრეტულის პროგნოზირება შეუძლებელია, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# იაგო შარაძის დედა: „მივმართავ იზორიას, როგორც და – ძმას, ილონეთ რამე“

– მივმართავ ლევან იზორიას, არა როგორც თავდაცვის მინისტრს, არამედ როგორც გაჭირვებაში მყოფი და – ძმას, ილონეთ რამე.

ამის შესახებ ზღვაში გეგმური წვრთნების დროს დაკარგული ჯარისკაცის, იაგო შარაძის დედამ, ელენე მაკრიდისმა განაცხადა.

მისივე თქმით, გარდაცვლილი სამხედროების ოჯახებს გარკვეული ეჭვები აქვთ მომხდართან დაკავშირებით, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარი არ სურთ.

– ჩემი შვილი დაკარგული არ არის, მას სამხედრო ფორმა აცვია, ბალონები ჰკიდია და ის აუცილებლად უნდა ნახონ. ვიდრე ჩემი შვილის ერთი პატარა ნაწილიც კი არ იქნება ნაპოვნი, ყველა ჩვენგანს გვექნება ჩვენი ვერსია.

ვთხოვე, არა როგორც თავდაცვის მინისტრს, არამედ როგორც საკუთარ ძმას, როგორც გაჭირვებაში მყოფი და სთხოვს ძმას, ილონოს რამე, მომეხმაროს, რომ ჩემი შვილის საფლავი მქონდეს და ჩემს შვილიშვილებს ვაჩვენო, – აღნიშნა იაგო შარაძის დედამ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.



თავდაცვის სამინისტროს ორი ჯარისკაცი გეგმური წვრთნების დროს გონიოში ზღვაში 16 აგვისტოს გაუჩინარდა. უწყებამ ჯარისკაცები დაკარგულად გამოაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# არჩევნებისთვის 27 პარტია და 6 საარჩევნო ბლოკია რეგისტრირებული

## საარჩევნო რეგისტრაცია კვარაცხელიასაც მოუხსნეს

მარიამ მჭედლიშვილი

**პროგნოზი იმის შესახებ, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების წინ პოლიტიკური სუბიექტების გამსხვილების პროცესი მოხდებოდა, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. დღეისთვის ცესკოს მიერ რეგისტრაციაში გატარებულია 6 საარჩევნო ბლოკი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გაერთიანება ფორმალურია.**

ბლოკის სახით იღებს არჩევნებში მონაწილეობას ნაციონალური მოძრაობა. ყოფილ მმართველ პარტიას ადრეც ჰქონდა შექმნილი ბლოკი შოთა მალაშხიას ქრისტიან-კონსერვატორებთან. ამჯერად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური პარტნიორი „ევროპული საქართველოა".

ბლოკი ჩამოაყალიბეს გაერთიანებულმა დემოკრატებმაც. ნინო ბურჯანაძის გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა დემოკრატიული მოძრაობა-ერთიან საქართველოსთან ერთად არის გატარებული რეგისტრაციაში.

ბლოკში გაერთიანდნენ მრეწველები და ზვიად ჩიტიშვილის „ჩვენი სამშობლო". მანამდე ორივე სუბიექტს სხვებთან ჰქონდათ ალიანსის შექმნის მცდელობები. ორივე მათგანს თამაზ




მეჭიაურის ახალ პარტიასთან ჰქონდა კონსულტაციები. მეჭიაურის გარშემო გაერთიანებაც შეიქმნა, მაგრამ დაიშალა. საბოლოოდ, მეჭიაურმა გადაწყვიტა, ცალკე მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ბლოკი შექმნეს ასევე ჩვენებმა და სახალხო პარტიამ.

ყველაზე მეტი ყურადღება იმ ბლოკებს ეთმობა, რომლებიც თარხან-მოურავისა და ბურჭულაძის პარტიების გარშემო ჩამოყალიბდა.

დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია რამდენიმე თვის წინ შეიქმნა. მასში, პატრიოტთა ალიანსის გარდა, შედიან ტრადიციონალისტები, კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო, თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა და ახალი ქრისტიან-დემოკრატები.

პაატა ბურჭულაძის ბლოკი ახალი შექმნილია. ოფიციალურად მის შემადგენლობაში არაა მითითებული ორგანიზაცია გირჩი. თუმცა, ბლოკში განმარტავენ, რომ გირჩი მისი სრულუფლებიანი წევრია, მისი სახელის მიუთითებლობა კი ბლოკის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ბლოკში, ბურჭულაძის სახელმწიფო ხალხისათვის და გირჩის გარდა, შედიან ახალი საქართველო და ახალი მემარჯვენეები.

დანარჩენი სუბიექტები არჩევნებზე გასვლას დამოუკიდებლად აპირებენ. საარჩევნოდ 27 პარტიაა რეგისტრირებული.

გარკვეული ხნის წინ ცესკომ საარჩევნო რეგისტრაცია მოუხსნა ბედუკაძე-ხაჩიშვილის ცენტრისტებს. ბედუკაძეს და ხაჩიშვილს სიაში ჩასმას ერთ-ერთი კომუნისტური პარტია სთავაზობს.

შეიძლება მსგავსი შეთავაზება მიიღოს ვალერი კვარაცხელიამაც. მისი პოლიტიკური გაერთიანება „კვარაცხელია-სოციალისტები" ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ცესკოს თავმჯდომარემ ბათილად ცნო განკარგულება ამ ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდი თითქმის ექსცესების გარეშე მიმდინარეობს. ექსპერტების შეფასებით, საერთოდ არ იგრძნობა, რომ ერთ თვეში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. სიტუაციას არასამთავრობო ორგანიზაციებიც აკვირდებიან და აფიქსირებენ დარღვევებს. მათი მხრიდან ყველაზე ხშირად საუბარია ისეთ დარღვევებზე, როგორებიცაა მოსყიდვა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

ზოგიერთ რეგიონში არის ზეწოლა მათზე, ვისაც სოციალური დახმარება აქვს. ბენეფიციარებს ემუქრებიან შემწეობის მოხსნით, თუ ისინი ხმას რომელიმე ოპოზიციურ სუბიექტს ან კანდიდატს მისცემენ.

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნებისას დარღვევებს დააკვირდებიან სახალხო დამცველის აპარატის მობილური ჯგუფებიც. ისინი რეგიონებშიც იმუშავებენ.

# მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებლები 216-ლარიან პენსიას მიიღებენ

**– 1-ელი სექტემბრიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში მუდმივად მცხოვრებ, ასაკით პენსიონერებს პენსია 20%-ით გაეზრდებათ და 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ.**

**აღნიშნულის შესახებ 31 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძემ განაცხადა.**

მისი ინფორმაციით, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათების კიდევ ერთი ნაწილი ხვალიდან ამოქმედდება.

– სოციალური შეღავათების ძალაში შესვლის შედეგად, ასევე, 20%-ით გაიზრდება მთაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირების ფულადი გასაცემელი.

მათ შორის არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალდაკარგულები და პოლიტრეპრესირებულები.

მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ ბავშვები 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ. შესაბამისად, 20 %-ით გაიზრდება სხვა სოციალური პაკეტების დანამატიც და მნიშვნელოვნად გამოხატული პირების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების თანხა 100 ლარის ნაცვლად 120 ლარი გახდება.

მიმდინარე წლის აგვისტოს მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მთაში მუდმივად მცხოვრებ პირთა შორის 52 000-მდე ასაკით პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებია.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხოლოდ ამ დანამატებისათვის ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან მომდევნო თვეს 1 მლნ 800 ათასი ლარი გამოიყოფა.

ყოველთვიური დანამატი მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ პერსონალსაც მიეცემა. მათ შორის, რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 500-მდე ექიმი და ექთანი, რომლებიც მაღალმთიან რაიონებს ემსახურებიან, ყოველთვიურ დანამატს მიიღებენ. ექიმებისთვის ეს თანხა 360, ხოლო ექთნებისთვის – 180 ლარით განისაზღვრება.

დანამატი გაიცემა რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კლინიკების მედპერსონალისთვის – ჯამში 350 ადამიანისთვის.

ლენტეხში, ყაზბეგში, გუდაურში, წალკაში, თიანეთში, თეთრიწყაროში, ბაკურიანში, ცაგერში, ონსა და ამბროლაურში, ასევე, შპს ბედიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მანგლისის საავადმყოფო-პოლიკლინიკასა და აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოში.



დანამატს ასევე მიიღებენ მაღალმთიან სოფელში მომუშავე 950-მდე სოფლის ექიმი და ექთანი, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში – „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად".

ექიმის დანამატი პენსიის ორმაგი ოდენობით – 360 ლარით, ხოლო ექთნის დანამატი – 180 ლარით განისაზღვრება. ამჟამად სოფლის ექიმის მომსახურების ანაზღაურება 650 ლარს, ხოლო ექთნის – 455 ლარს შეადგენს, – განაცხადა სოფრომაძემ.

მან ყურადღება მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მიღებისთვის აუცილებელ პროცედურაზეც გაამახვილა.

– მათ, ვისაც ჯერ არ აქვს დადგენილი მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, უნდა მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც უკვე მინიჭებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, ავტომატურად, განცხადებით მიმართვის გარეშე, დაენიშნებათ დანამატი, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

# გიორგი მარგველაშვილი: „დაპირისპირებები არ განმეორდება"

– მე თქვენ გაძლევთ გარანტიას, რომ თუ საარჩევნო უბნები 8 ოქტომბერს იქნება სავსე, არასდროს განმეორდება ის დაპირისპირებები, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წარსულში.

ამის შესახებ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამომრჩევლის გააქტიურება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ საბოლოოდ უარი ვთქვათ ერთმანეთთან დაპირისპირებასა და აგრესიაზე.

– გარანტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესის განვითარების და სტაბილურობის გადის არა მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერებზე, არამედ თითოეულ ამომრჩეველზე.

მე თქვენ გაძლევთ გარანტიას, რომ თუ საარჩევნო უბნები 8 ოქტომბერს იქნება სავსე, თუ იქნება რიგები იმისთვის, რომ ჩვენ, როგორც მოქალაქეებმა, ჩვენი პიროვნული ვალი მოვიხადოთ, არასდროს განმეორდება ის დაპირისპირე-



ბები, რასაც ჰქონდა ადგილი, სამწუხაროდ, ჩვენს წარსულში, დაპირისპირებები, როდესაც ჩვენ ძალიან უცნაურად, ამ პატარა ერის შვილები ერთმანეთს მტრებად აღვიქვამდით, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა ისაუბრა კორცხელის ინციდენტზეც და ამ საქმის სწრაფად გამოძიების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

– მე მინდა სწორედ ზუგდიდში ხაზი გავუსვა იმ სამარცხვინო ფაქტს, რაც კორცხელში მოხდა.

ჩემთვის, ასევე მთელი საქართველოს ამომრჩევლისთვის, მიუხედავად იმისა, რომელ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენს, მიუღებელია მუშტი-კრივით, დაპირისპირებით, ერთმანეთის მტრად გამოცხადებით პოლიტიკურად რაიმეს მიღწევა.

ჩვენ ამას არასდროს მივიღებდით და არც მომავალში მივიღებთ. ამ სამარცხვინო ფაქტზე ადეკვატური და სწრაფი რეაგირება უნდა ყოფილიყო და იქნება სახელმწიფოსგან.

სახელმწიფოს რეაგირების გარდა, თვითონ საზოგადოებამაც უნდა მისცეს თავისი შეფასება. ეს შეფასება ადეკვატურად უნდა გამოიხატოს ჩვენი მოქალაქეობრივი აქტივობებით საარჩევნო უბნებთან, – განაცხადა მარგველაშვილმა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნინო ბურჯანაძე: „ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, სამწუხაროდ, ვერ გვექნება"

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს უბლოკო სტატუსს ევროკავშირთან არანაირი კავშირი არ აქვს. ნინო ბურჯანაძე მიესალმება თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, თუმცა ეს ვერ მოხდება.

– ევროკავშირს არავითარი კავშირი საქართველოს „უბლოკო სტატუსთან" არ აქვს.

ჩვენ ევროკავშირთან ხელშეკრულებები გვაქვს დადებული, კარგი იქნება, თუ გვექნება უვიზო მიმოსვლა, თუმცა სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ვერ გვექნება. ჯერჯერობით, ყველა ჩემი პროგნოზი ასრულდა.

ევროკავშირი ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშეა. რომ დაიშალოს ევროკავშირი, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ შევალთ. შევიდეთ, ბატონო, ევროკავშირში, თუმცა ის ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშეა და მე ეს, როგორც პოლიტიკოსმა, ვიცი. განსაკუთრებით, რეხიტ-ის შემდეგ. ახლა კი იტალია და ნიდერლანდებიც ალაპარაკდნენ ევროკავშირიდან გამოსვლაზე, ღმერთმა არ ქნას, რომ დაიშალოს, მაგრამ რომ დაიშალოს, ვიძახოთ, რომ შევალთ, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ევროკავშირი და ნატო ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

– ევროკავშირის წინააღმდეგი არავინაა. გავმიჯნოთ ევროკავშირი და ნატო ერთმანეთისგან. ევროკავშირი არის სულ სხვა რამ და მას არავითარი კავშირი საქართველოს უბლოკო სტატუსთან არ აქვს.

ჩვენ ევროკავშირთან ხელშეკრულებები გვაქვს დადებული. ძალიან კარგია, ამას მივესალმები. კარგი იქნება, თუ ევროკავშირთან გვექნება უვიზო მიმოსვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, ვერ გვექნება.



ჯერჯერობით ყველა ჩემი პროგნოზი ასრულდა. ყველა პროგნოზი, რომელიც მე ვთქვი, ასრულდა. იმის პროგნოზიც გამართლდა, რომ მცოცავი ოკუპაცია გაგრძელდებოდა, ისიც, რომ ვარშავის სამიტზე საქართველოს მაპს არავინ მისცემდა.

მართლა, რაშია საქმე? ბურჯანაძე უშლის დასავლეთს ხელს, რომ საქართველოს მაპი მისცეს? – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# „სახელმწიფო ხალხისთვის" და „პატრიოტთა ალიანსი" კანონს არღვევენ?

ცესკო პოლიტიკურ გაერთიანებებს – „პატრიოტთა ალიანსსა" და „სახელმწიფო ხალხისთვის" წინასაარჩევნო წესების დაცვისკენ მოუწოდებს.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა ანა მიქელაძემ განაცხადა, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა აღნიშნული საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევა და ასევე ცესკოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ცესკო იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ვინაიდან სხვადასხვა სოციალური და მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ბლოკების – „პატრიოტთა ალიანსისა" და „სახელმწიფო ხალხისთვის" მიერ რიგით ნომრის სავარაუდო გამოყენების შესახებ, ამიტომ ცესკომ გაავრცელა განცხადება და აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტებს მოუწოდა წინასაარჩევნო წესების დაცვისკენ.

კანონმდებლობისა და ასევე ცესკოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტებს რეკლამასა და სააგიტაციო მასალაზე მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია გამოიყენონ რიგითი ნომერი, რაც ცესკო დადგენილების მიხედვით განახორციელებს საარჩევნო სუბიექტებისთვის წილისყრით რიგითი ნომრის მინიჭების პროცედურას.

ამიტომ ცესკომ გაავრცელა განცხადება და იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომელიმე აღნიშნული საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევა და ასევე ცესკოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ცესკო იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის, კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, – განაცხადა მიქელაძემ.

რაც შეეხება წილისყრის პროცედურას, ანა მიქელაძის განმარტებით, ის უნდა ჩატარდეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 36-ე დღისა.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 136 800 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

18 343 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 834,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

14 874 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში**

მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 2 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გზის დაზიანების შემთხვევაში განახორციელოს დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები .

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობზე „ზანა„-ს ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 752 400 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

100 887 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

10088,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

50 644 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 2 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი სენაკი, ა. ყაზბეგის ქუჩა №3, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქი სენაკი, ა. ყაზბეგის ქუჩა №3

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

59 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

5,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

247 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 2 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარ-ჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუ-გვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# გიორგი მელია მსოფლიოს ჩემპიონია




საფრანგეთის ქალაქ მაკონში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს ბერძნულ-რომაული ნაკრების წევრი გიორგი მელია (96) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნუგზარ წურწუმიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გიორგი მელიამ პირველ შეხვედრაში შვეიცარიელი დამიან ვონ ეუ 4:0 დაამარცხა, მეოთხედფინალში კი იაპონელ იუტა ნარას 7:1 სძლია, ნახევარფინალში მელიას მეტოქე ამერიკელი ტრეისი ჰენკოკი იყო, რომელსაც 12:8 მოუგო, ფინალში კი ჩვენებურმა ბელარუსი არსენ სიჩევი ბრწყინვალედ შესრულებული ოთხქულიანი გდებით 4:3 დაამარცხა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

წელს ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მელიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონმა ახალგაზრდებში ნუგზარ წურწუმიამ (50) კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თავდაპირველად მან უკრაინელი ვლადისლავ კოროსტილოვი 4:1 დაამარცხა, შემდეგ ყაზახ ბაირჯან სადვოკასოვს 6:2 სძლია, ნახევარფინალში უზბეკ ილხომ ბახრომოვთან დათმო შეხვედრა, ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში კი ირანელი მეჰდი ნეჯადი 7:2 დაამარცხა.

ხალიჩაზე კიდევ 2 ქართველი – ლევან ქავჟარაძე (60) და თემურ ჭკუასელიძე (74) გავიდა, თუმცა ისინი დამარცხდნენ და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

# სოლომონ კვერკველია: „მეცოდება რუბინი და მისი ქომაგი“

საქართველოს ნაკრების მცველი სოლომონ კვერკველიას ცუდი დროება უდგას. ჩვენებური მიმდინარე სეზონში ყაზანის რუბინის განაცხადში ვერ ხვდება. იყო საუბრები გუნდიდან წასვლის თაობაზე, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა იხურება და კვერკველიას ახალი გუნდი არ ჩანს.



კვერკველია ამჟამად ეროვნულ ნაკრებთან ერთად ავსტრიასთან გასამართი შეხვედრისთვის თბილისში ემზადება.

***– მართალია, რომ რუბინის ძირითად შემადგენლობასთან ერთად აგიკრძალეს ვარჯიში?***

– ჯერჯერობით არ ვიცი, ისევე, როგორც ჩემი უთამაშებლობის მიზეზის შესახებ არ ვიცი არაფერი. საქართველოში წასვლამდე ძირითად ჯგუფში ვვარჯიშობდი, მაგრამ ვერ ვხვდები, რა ხდება გუნდში. 3 წელი სტაბილურად ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში, ახლა კი განაცხადშიც ვერ მოვხვდი. კიდევ უფრო საინტერესო ის ფაქტია, რომ ორენბურგთან თამაშისას გუნდის სათადარიგოთა სკამზე 2 თავისუფალი ადგილი იყო.

***– თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

– ვფიქრობ, მწვრთნელს არ უნდა, რომ ვითამაშო. არადა, ფეხბურთის თამაში შემიძლია. ამასთან ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს რუბინის შემადგენლობაში ვაკეთო. ყაზანი ჩემთვის მეორე სახლია, მაგრამ თუ თამაშის საშუალებას არ მაძლევენ, მზად ვარ, იჯარით სხვა გუნდში გადავიდე, თუმცა ამ საქმიდანაც არაფერი გამოდის, რადგან არის 3 გუნდის ვარიანტი, რუბინი კი არ მიშვებს.

***– რა გუნდებზეა საუბარი?***

– ერთ-ერთი რუსულია და ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

***– მთავარ მწვრთნელს თქვენთვის არაფერი უთქვამს?***

– საერთოდ არ მესაუბრება, რაც სრულიად გასაგებია. ჩემს ადგილას მისი ფეხბურთელი თამაშობს. ცუდად თუ კარგად, ეს გულშემატკივრებმა გადაწყვიტონ. უბრალოდ მეცოდება რუბინი და მისი გულშემატკივრები, როცა გუნდის თამაშს ვუყურებ. ვნახოთ, გაზაფხულზე ვინ დარჩება გუნდში.

***– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?***

– კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ძალიან მინდა რუბინში თამაში, მაგრამ რადგან ამის შესაძლებლობა არ მეძლევა, იჯარით წავალ ისეთ კლუბში, რომელიც მე მინდა.

# ლოთარ მათეუსი გვარდიოლას კიცხავს



მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა ფეხბურთელმა გერმანული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში რეკორდმაისტერის ყოფილ დამრიგებელზე, ხოსეპ გვარდიოლაზე, ისაუბრა.

ლოთარ მათეუსის თქმით, ესპანელი სპეციალისტი ფეხბურთელებს ძალიან ბევრს სთხოვდა, რის გამოც, მრავალი მათგანი რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიიყვანა.

მათეუსი აღნიშნავს, რომ გვარდიოლას ფეხბურთელებთან არც ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. რეკორდმაისტერის ყოფილი ფეხბურთელის თქმით, ესპანელი სპეციალისტი ფეხბურთელებს თავისუფლებას არ აძლევდა და ცდილობდა ისინი პიროვნულად შეეცვალა.

**ლოთარ მათეუსი:**

– ხოსეპ გვარდიოლა ფეხბურთელებს თრგუნავდა, გუნდისგან ძალიან ბევრს მოითხოვდა და თავისუფლებას არ აძლევდა. ეს ყველაფერი ჩემთვის ბაიერნის შიდა სამზარეულოდან გახდა ცნობილი, სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ კარლო ანჩელოტი გუნდს უფრო წაადგება. როგორც პიროვნების, ხოსეპ გვარდიოლას, მიღება გუნდს ძალიან გაუჭირდა.

# ოქრიაშვილის ტრანსფერი მარსელში ჩაიშალა, ყაზაიშვილი ლეგიაში ითამაშებს



საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი თორნიკე ოქრიაშვილი მარსელში იმყოფებოდა და საფრანგეთის ლიგა 1-ის გუნდში გადასვლის შანსი ჰქონდა. როგორც ირკვევა, ჩვენებურმა ერთ-ერთ გამორჩეულ ფრანგულ კლუბში სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა, თუმცა ფრანგული პრესისთვის გაკეთებულ კომენტარში, ოქრიაშვილის აგენტმა, მამე ამიროვმა განაცხადა, რომ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

მამე ამიროვი:

– ინტერესი იყო, თუმცა შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ოქრიაშვილი მარსელში არ ითამაშებს. შეთანხმება ორ კლუბსა და ფეხბურთელს შორის ვერ შედგა. მარსელი უკვე დავტოვეთ.

არადა, როდესაც ისეთი დონის კლუბი გეპატიჟება, როგორიც მარსელია, პირობებზე შედარებით უნდა დახუჭო თვალი. მით უფრო, როდესაც ბელგიური გენტის ფეხბურთელი ხარ, რომელიც თურქულ ესკიშეჰირში განათხოვრებს. სავარაუდოდ, უფრო სწორი ვერსია ფრანგების უნდა იყოს.

ოქრიაშვილს რეკომენდაცია მარსელის სპორტულმა დირექტორმა გიუნტერ იაკობმა გაუწია, რომელიც ქართველ შემტევს სწორედ გენტიდან იცნობს.

სანამ ოქრიაშვილი მარსელში მოწყობას ცდილობდა, ვარშავის ლეგიამ ვაკო ყაზაიშვილი წარადგინა. პოლონური კლუბის ვებგვერდის ცნობით, ქართველი შემტევი ახალ გუნდში 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს და ახალ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში მიიღებს მონაწილეობას.

ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ვარშაველთა მეტოქეები მადრიდის რეალი, დორტმუნდის ბორუსია და ლისაბონის სპორტინგი იქნებიან.

# ლაშა ლომიძე ტოპ 14-ის გუნდში ითამაშებს



ბორჯღალოსანი ლაშა ლომიძე, რომელიც საფრანგეთში პრო დე 2-ის ბეზიეში ასპარეზობს, მომავალი სეზონიდან ტოპ 14-ის მონპელიეში ითამაშებს. ჩვენებურმა კლუბთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და 2017-18 წლის სეზონიდან შეუერთდება გუნდს.

ლომიძე საფრანგეთში 2012 წელს გადაბარგდა და მონპელიეს ესპუართა (დუბლიორთა შემადგენლობა) გუნდში ირჯებოდა, ხოლო 2014 წელს ბეზიეში პირველ გუნდში თამაშობს. ახლახან სამედიცინო ჯოკრის სტატუსით მონპელიეში კიდევ ერთი ქართველი, გაგი ბაზაძე გადაბარგდა ლაროშელიდან. ბაზაძემაც, ლომიძის მსგავსად, ფრანგული საკლუბო კარიერა მონპელიეს ესპუარებში დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად მონპლიეში ბორჯღალოსნები, მიხეილ ნარიაშვილი, დუდუ ქუბრიაშვილი და კოტე მიქაუტაძე თამაშობენ.

## შედეგები

**30 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| უგანდა-კენია | 0:0 |
| ყირგიზეთი-ყაზახეთი | 2:0 |
| ეგვიპტე-გვინეა | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჰიბინო-მლადენოვიჩი | 4:6,5:7 |
| ზიგემუნდი-ტიგი | 3:6,6:3,6:2 |
| ა.რადვანსკა-პეგულა | 6:1,6:1 |
| პლიშკოვა-კენინი | 6:4,6:3 |
| ს.უილიამსი-მაკაროვა | 6:3,6:3 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| ტიემი-მილმანი | 6:3,2:6,5:7,6:4,6:3 |
| ჯონსონი-დონსკოი | 4:6,1:6,7:6,6:3,6:3 |
| გრანოლერსი-მონაკო | 7:6,7:6,6:4 |
| სიმონი-შტეპანეკი | 6:3,6:1,6:4 |
| ბერლოკი-ლორენცი | 4:6,2:6,1:6 |
| კირგიოსი-ბედენე | 6:4,6:4,6:4 |
| ბერანკისი-ჟაზირი | 3:6,7:6,6:4,6:2 |
| დოდიგი-მარჩენკო | 3:6,4:6,7:6,5:7 |
| როსოლი-მიურეი | 3:6,2:6,2:6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2016, 1 სექტემბერი, №207

# ყირიმელ თათართა ლიდერი ფსიქიატრიულში დატოვეს

ყირიმში მკვიდრი მოსახლეობის, თათრების დევნა-შევიწროება გრძელდება. ამისი ნათელი დადასტურებაა თათართა მილი-მეჯლისის ერთ-ერთი ლიდერის, 59 წლის ილია უმაროვის ბედი. ის მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ სატელეფონო საუბარში რუსეთი უდიერად მოიხსენია.

— რუსები ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ, რომ თავად თქვან უარი როგორც დონბასზე, ასევე ყირიმზე, — უთხრა მეგობარს უმაროვმა.

მეორე დღეს მილი-მეჯლისის ლიდერს შინ ფსბ-ს თანამშრომლები ეწვივნენ. საუბარი ათ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა. უმაროვმა დაუპატიჟებელ სტუმრებს კარისაკენ მიუთითა.

— გაქვთ ჩემი დაპატიმრების ორდერი? არა. მაშ აქედან მოუსვით! თუკი გსურთ დამკითხოთ, გამომიგზავნეთ უწყება, როგორც წესია, გასაგებია?!

რუსი ჩეკისტები წავიდნენ, თუმცა უმაროვზე ნადირობა ახალი ძალით განაახლეს. ისინი ნელა, მეთოდურად კრებდნენ მასალებს, თითქოს უმაროვი ყირიმში ტერაქტებს ამზადებდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე ტერორიზმისათვის არ გამოდგებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ გული აწუხებდა. მალე უმაროვი კარდიოლოგიურ კლინიკაში მოათავსეს. ფსბ-ს თანამშრომლები მას იქ მიადგნენ:

— თქვენ წინააღმდეგ წამოყენებულია სერიოზული ბრალდებები! აუცილებელია ფსიქიატრიული ექსპერტიზა!

ასე აღმოჩნდა უმაროვი ფსიქიატრიულ კლინიკაში. ცხადი გახდა, რომ რუსები მის იქიდან გამოშვებას არ აპირებდნენ. სქემა ნაცადი იყო: უმაროვი ფსიქიკური ავადმყოფია, ამიტომაც ყირიმს ოკუპირებულ ტერიტორიად მოიხსენიებს და მისი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას მოითხოვს.

ბრეჟნევის დროს ასეთი მეთოდები დისიდენტების წინააღმდეგ ინტენსიურად გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენება თითქოს შეწყდა, უმაროვის შემთხვევა პირველია, რაც ძველი



მეთოდის აღდგენაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ უმაროვის დაპატიმრების მეორე დღესვე რუსეთის განათლების ახალმა მინისტრმა ვასილიევამ განაცხადა:

— დისიდენტები სხვაგვარად მოაზროვნენი, ანუ არცთუ ნორმალურები იყვნენ. ჩვენი უბედურება ისაა, რომ რაღაც მომენტში ამ ხალხს დავუჯერეთ და დიდი სახელმწიფო დავანგრიეთ!

უმაროვის დაპატიმრების გამო პროტესტი გამოთქვეს თეთრმა სახლმა, ევროკავშირმა, უკრაინის ხელისუფლებამ.

უმაროვის ადვოკატი პოლოზოვი თვლის, რომ პოროშენკო გაუმართლებელ პასიურობას იჩენს:

— უმაროვის გასათავისუფლებლად უფრო აქტიური მოქმედებაა აუცილებელი! ის ხომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძვის!

უმაროვს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ფსბ-ს მაღალჩინოსნები ეწვივნენ. მათ განუცხადეს, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზა არ დასრულებულა, შესაბამისად, უმაროვიც 7 სექტემბრამდე საავადმყოფოში დარჩება.

# კრემლი: ქარიმოვის სიკვდილის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობთ!



პუტინის თანაშემწემ დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას ისლამ ქარიმოვის სიკვდილს თაობაზე.

— მოდით, უზბეკეთის ხელმძღვანელობის ცნობას დაველოდოთ, — თქვა პესკოვმა.

უზბეკეთის მთავრობამ კი ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1 სექტემბერს დანიშნული დამოუკიდებლობის 25 წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებები აღარ ჩატარდება.

ამავე დროს, ინფორმაცია ქარიმოვის სიკვდილის თაობაზე მან არ დაადასტურა. ქარიმოვის ქალიშვილმა ლოლამ სოციალური ქსელებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ მამამისი ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს.

# ალეპოში ისლამისტების ერთ-ერთი ლიდერი მოკლეს



ალეპოს დაბომბვისას ისლამისტების ერთ-ერთი ლიდერი ალ-ადნანი დაიღუპა. ის ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ალ-ადნანიზე ინფორმაციები მწირია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის 37-39 წლის იყო და მებრძოლთა შორის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

# სირია: თავდასხმა თურქ ჯარისკაცებზე

უცნობმა პირებმა განახორციელეს თავდასხმა თურქ ჯარისკაცებზე. მათ თურქების ტანკს რაკეტები დაუშინეს.

შედეგად 1 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა, 3 დაიჭრა.

ქურთების წარმომადგენელმა ამ თავდასხმაში ქურთების მონაწილეობა უარყო.

— ჩვენ ამ აქციასთან საერთო არაფერი გვაქვს, — განაცხადა მან.



# ოლანდი პუტინს პარიზში პატიჟებს



საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი ვლადიმერ პუტინი პარიზს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

ოლანდმა სირიაში შექმნილი მდგომარეობა დაწვრილებით მიმოიხილა და აღნიშნა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია.

— არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ სირიაში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები გაჩაღდეს. იმედი გვაქვს, რომ რუსეთის მეშვეობით ამის თავიდან აცილებას შევძლებთ, — თქვა ოლანდმა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთი სირიის კონფლიქტის მონაწილე მხარე გახდა, რადგან დიქტატორ ასადს მხარს უჭერს.

— რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ მსგავსი თამაში მისთვისვე ცუდად დამთავრდება. ამიტომ ამაზე რაც შეიძლება მალე უნდა თქვას უარი, — განაცხადა ოლანდმა.

# ჰარი რიდი: „რუსი ჯაშუშები ჩვენ ცხვირწინ მოქმედებენ“

აშშ-ს სენატის დემოკრატების ფრაქციის ლიდერმა ჰარი რიდმა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) ხელმძღვანელობას სპეციალური წერილით მიმართა. მასში ნათქვამია, რომ რუსი ჯაშუშები ამერიკაში მკვეთრად გააქტიურდნენ.

— საუბარია საპრეზიდენტო არჩევნებზე და მათში რუსული



სპეცსამსახურების აქტიურ ჩარევაზე. რუსი ჯაშუშები ჩვენ ცხვირწინ მოქმედებენ! — წერს რიდი.

დემოკრატების ლიდერი აღნიშნავს, რომ სასწრაფოდ აუცილებელია საგანგებო გამოძიების ჩატარება, რათა შემდგომი მოვლენების ტრაგიკულად განვითარება თავიდან იქნას აცილებული.

— ცივი ომის ეპოქის შემდეგ რუსები ჩვენს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ესოდენ აქტიურად და თავხედურად არ ჩარეულან. აუცილებელია დაუყოვნებლივ მოქმედება, — აღნიშნავს რიდი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ასტროპროგნოზი
## 1 სექტემბრისთვის



**ვერძი** — კარგი დღეა ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად, ინფორმაციის მისაღებად. გარშემომყოფები თქვენს აქტიურობას სათანადოდ დააფასებენ. **კურო** — ნუ გარისკავთ. იოლად არავის მიენდოთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ტყუპები** — ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. **კირჩხიბი** — მიენდეთ ინტუიციას. დღეს ის განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ და არ გიღალატებთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაშიც. **ლომი** — ახალი იდეები გეწვევათ. სითამამე მოიკრიბეთ და მათ განხორციელებას შეუდექით. ნუ აჩქარდებით. **ქალწული** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაფერისი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზომიერება დაიცავით. **სასწორი** — პასიური, მძიმე დღეა. ნერვიულობთ და ამის გამო მოვლენებზე არაადეკვატურად რეაგირებთ. თუ ამ პერიოდს გადააგორებთ, წარმატება არ დააყოვნებს. **ღრიანკალი** — ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. დღის მეორე ნახევარში კარგი იქნება ბუნებაში გასვლა და დასვენება. **მშვილდოსანი** — ახალი ნაცნობობა წარმატებას მოგიტანთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **თხის რქა** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. საქმე აკეთეთ, ოღონდ ენერგია დაზოგეთ. ქალაქიდან გასვლა არასასურველია. **მერწყული** — იყავით ყურადღებიანი და ორგანიზებული. სირთულეებს დღეს თავს იოლად გაართმევთ. **თევზები** — შეეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის დროს კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. საღამოს აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქამრის ლითონისენიანი შესაკრავი; 2. მუსიკაში ერთი ბგერიდან მეორეზე თანდათანობით, უპაუზოდ გადასვლა; 3. რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი; 4. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 5. ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 13. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 15. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. ფულის ერთეული ყაზახეთში; 18. ლხინი, დროსტარება; 19. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

**თარაზულად:** 6. ინდოეთის ქალაქ მუმბაის ძველი სახელწოდება; 8. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 9. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. ღამით თევზაობა ჩირაღდნის გამოყენებით; 12. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ირანის ძველი დედაქალაქი; 17. სამძებრო პოლიციის თანამშრომელი; 20. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ავსტრიელი მწერალი, ნოველისტი; 22. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 23. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჩოდარი; 2. აკრი; 3. პარადოქსი; 4 ცაიში; 5. ჭინჭარი; 8. ზარაფი; 9. ხაბიზგინა; 12. მადონა; 14. ხერესი; 16. „აპოლო“

**თარაზულად**: 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. დროზერა; 9. ხორავა; 10. ლირა; 11. „ბარამბო“; 13. შახტი; 15. მარიცა; 17. ნიაგარა; 18. „პოპოლო“ ; 19. ბონსაი; 20. რომანსი.

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პოლიცია; 2. ჯულეპი; 3. დივიდენდი; 4. დუნსტი; 5. ვარიანტი; 7. რომი; 11. მესხეთი; 13. პროტონი; 15. სესხი; 16. შონია; 18. ალეპო; 19. რეალი

**თარაზულად**: 6. ოფორტი; 8. ქუთაისი; 9. სენგერი; 10. ცინიზმი; 12. კიურე; 14. ტირანა; 17. დრომადერი; 20. ყეენობა; 21. სხვენი; 22. პაულსი; 23. ყარაყუმი.

# ქართველი პროფესორი ჩინეთის ვიცე-პრემიერმა დააჯილდოვა



საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ჩინეთმცოდნე პროფესორი, საქართველოში კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი მარინე ჯიბლაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ლიუ იენტუნგმა დააჯილდოვა.

ჯილდო ქართველ პროფესორს მიენიჭა განსაკუთრებული წვლილისთვის და მიღწევებისთვის. დაჯილდოების ცერემონიალი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის შენობაში გაიმართა. ცერემონიალს ესწრებოდნენ ჩინეთში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. დაჯილდოებას დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვასილ ბაბუნაშვილიც.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით აფციაურმა სპეციალური შეხვედრა მოუწყო მარინე ჯიბლაძეს.

მარინე ჯიბლაძე პეკინში ჩინური კულტურის კვლევითი ცენტრის კომისიის წევრადაც დაინიშნა.

# ქართველმა კარიკატურისტმა მსოფლიო კონკურსში მეორე ადგილი მოიპოვა



ქართველმა მხატვარმა და კარიკატურისტმა ბესიკ დულაშვილმა მსოფლიოს ცნობილ კარიკატურისტთა შორის გამართულ კონკურსში მეორე ადგილი მოიპოვა.

კონკურსის ორგანიზატორებმა მასში მონაწილეებს ჰოლივუდის ვარსკვლავის ჯულია რობერტსის დახატვა სთხოვეს. პირველი ადგილი ესპანელმა კარიკატურისტმა მოიპოვა, მეორე ადგილზე ქართველი გავიდა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი ამერიკელი კარიკატურისტი გახდა.

ინფორმაცია გამარჯვების შესახებ ბესიკ დულაშვილმა თავად გაავრცელა, თუმცა კულტურის სამინისტროს მიმართ საყვედურიც გამოთქვა:

– ამჯერად ვერცხლი...

...და ახლა ხმამაღლა ვაცხადებ!

როცა გიორგაძეს ედინბურგში გაგზავნილი დასის წარმატება არ ახარებს, მე, კინკილა, ამჯერად კარიკატურისტი სულ ფეხებზე არ ვკიდივარ?

პ.ს. ჯაზი დაუკა, უმინისტრო სამინისტროააა!!!

# ნიქოზში ანიმაციის ფესტივალი ჩატარდება

1-6 სექტემბერს, ცხინვალის მოსაზღვრე სოფელ ნიქოზში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მეექვსედ გაიმართება.



სოფელი ნიქოზი ცხინვალიდან 500 მეტრში მდებარეობს, მაგრამ სოფლის არც ერთ მცხოვრებს იქაურობა არ მიუტოვებია. ამაში წვლილი ხელოვნების სკოლას, სადაც 120 ბავშვი სწავლობს, და ანიმაციურ ფესტივალს მიუძღვის. ფესტივალი ყოველთვის ნიქოზელი ბავშვების შემოქმედების წარდგენით იხსნება.

წელს ფესტივალის სტუმრები იქნებიან გამოჩენილი ანიმატორები და ანიმაციის ცნობილი სკოლის წარმომადგენლები გერმანიიდან, იტალიიდან რუსეთიდან, კანადიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან. საფრანგეთიდან ნიქოზს ეწვევა ანესის ანიმაციური ფილმების ფესტივალის სელექტორი. „ანესის“ ფესტივალი ანიმაციაში იგივეა, რაც „კანის“ კინოფესტივალი კინოში.

„ნიქოზის“ ფესტივალის პროგრამაში წარმოდგენილი იქნება მსოფლიო ანიმაციურ ფესტივალებზე გამარჯვებული ფილმები. მათ ნაწილს ნიქოზში შეკრებილი საზოგადოებისთვის თავად ავტორები წარადგენენ.

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ანრი ჯოხაძის კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა



ანრი ჯოხაძის პირველმა სოლო კონცერტმა, რომელიც ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე გაიმართა, ანშლაგით ჩაიარა. კონცერტში მომღერლის გარდა მონაწილეობდნენ მისი კოლეგები, ვისთანაც ანრის დუეტში აქვს ნამღერი.

ანრიმ ცნობილი სიმღერები დასთან მაგდა ჯოხაძესთან, ძმასთან ომარ ჯოხაძესთან, ვერიკო ტურაშვილთან, ნინი ბადურაშვილთან, თაკო გაჩეჩილაძესთან ერთად შეასრულა.

„მე მაინც მოვალ“ – ასე უწოდა თავის პირველ სოლო კონცერტს მომღერალმა და მას წონა და ნერვები შესწირა:

– გახსოვდეთ! ცხოვრებაში, შეიძლება, ბევრჯერ მოგიხურონ ცხვირწინ კარი! ბევრჯერ გაგლანძღონ, შეეცადონ თქვენს წაქცევას, დისკრედიტაციას! თუმცა, ყოველთვის იპოვეთ ძალა, ყოველი დარტყმის შემდეგ, განაგრძოთ სვლა წინ და თქვათ: „მე მაინც მოვალ“! ასეთი იყო მთავარი გზავნილი, რომელიც მომღერალმა საზოგადოებას გაუგზავნა.

# ანი მალაზონია გათხოვდა

სიმღერა „ჩემო მაგნოლია“ მომღერალ ანი მალაზონიას სავიზიტო ბარათია. მომღერალმა წარმატებული საკონცერტო კარიერის პარალელურად, დაქორწინება გადაწყვიტა და თავისი ცხოვრება საყვარელ მამაკაცს ნიკა ბოგვერაძეს დაუკავშირა.

ანისა და ნიკას ქორწილის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში მრავლად დაიდო. პატარძალს მარიგოლდის თეთრი საქორწილო კაბა ეცვა. მათ გაბედნიერება მეგობრებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა მიულოცეს. ახლად დაქორწინებულებმა უამრავი კეთილი სურვილი მიიღეს.

ქორწილში უამრავი ცნობილი სახე მიიწვიეს. ყველაზე გამორჩეული სითბო და სიყვარული კი მსახიობ გუჯა ბურდულს ერგო, რომელმაც კინოფილმიდან „უძინართა მზე“ ცნობილი სიმღერა „რიმ დარირო“ შეასრულა.

მისმა ნამღერმა დამსწრე საზოგადოება აატირა და მსახიობი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

სხვებთან ერთად, შეკრებილი სტუმრებისთვის ანი მალაზონიამაც იმღერა.



*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნადია ართილაყვა-მზარელუას მონატრება!

ჩვენთვის და ყველასთვის საყვარელო, თბილო, ტკბილო, სიკეთის მთესველო, ჰუმანურო, სპეტაკო, გულისხმიერო, ჩვენო აღმზრდელო და გამზრდელო ნადია ბებია!

დრო ვერ გვინელებს შენს მონატრებასა და სიყვარულს!

ნათელში გამყოფოს უფალმა შენს შვილებთან – ლენასა და ბუტუშასთან, მეუღლე – ბათუსთან, პატარა მერაბიკოსთან, რძლებთან ლალასა და ნინასთან და სიძე შურასთან ერთად.

მშვიდად განისვენეთ ერთად სამუდამო სასუფეველში!

ძალიან გვენატრებით!

*შვილიშვილები კუსუნა და გოჩა მზარელუები*

### ბატონი შოთა ხუციშვილის გახსენება!

ერთი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა გულისხმიერი, კეთილშობილი, ჰუმანური, უსაზღვროდ ყურადღებიანი პიროვნების – ბატონი შოთას ნათელმა სულმა!

ძალიან ენატრებით მეუღლეს, ოჯახს, ახლობლებს!

მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა!

ნათელში გამყოფოთ უფალმა!

*ახლობელი ეკა მზარელუა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

## პროგრამა

**ხუთშაბათი**
**1 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. სიცოცხლე დაბადებამდე" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი. "ჰენზელი და გრეტელი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00** დ/ფ "სონია რაკელი" **12.30** მხ/ფ "**ყოველ სექტემბერს**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რა ფასი აქვს ამერიკას" **19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.10** ქართ. ტ/ფ "მედიტაციები" **23.00** მხ/ფ "**ჯო ტაინანის ცდუნება**" **01.00** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**" (ვ.ვონი)

**08.00** დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" **12.00** ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **18.00 21.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, რუსულ ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00, 14.40** სერ. "**ფიცი**" **07.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **08.00** ქ.მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5**" **23.00, 00.00** სერ. "**სპარტაკი" - 4" 6-7** სერ. **01.00** მხ/ფ "**მოკალი და დამარხე**" **02.50** მხ/ფ "**ჩე, ნაწილი მეორე**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**ბებერი მეზურნეები**" **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 1.15** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 2.15** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**" ნაწ. I **17.30** სერ."**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" **23.50** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **3.00** ჯიდიპედია

**06.15** სჯანი-რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულება **06.40** პატერიკი-მადლმოსილი მღვდელმთავარი **06.50** დ/ფ "საქართველო და მსოფლიო **1906** წ." **07.25** ქართული ალბომი "მეც უნდა ვიყო შენი პოეტი" **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება-"სიბრძნე სოლომონისა" **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები "გურამ რჩეულიშვილი" **12.10** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.30** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.00** დ/ფ "ფუტკრის დუმილი" **15.05** ივერიის ეკლესია "ეპარქიების გამრავლება" **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **17.05** დ/ფ "მთავარსარდალი-გიორგი მაზნიაშვილი" **17.25** ჩვენი ფონდი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო" **18.10** ზღვარზე (ნარკომანია) - დედა - შვილი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "გოგი ცაბაძე" **20.20** დ/ფ "ოშკი" **20.40** ძილი ნებისა "პატარა სიმფონია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის ჭეო **21.45** ამბიონი "ზემო ბეთლემის ტაძარი" **22.20** დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **22.40** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **22.55** სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი-ღვაბერიძეები **23.40** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" **00.25** ისტორიის დღიური **01.25** მხ/ფ "**ნიურმბერგი**" II ს.

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** "ღამის კონტაქტი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **21.50** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.45** სერ. "**ცხოვრება,რომელიც არ ყოფილა**" **23.30** სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 სექტემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3056 |
| ევრო | 2.5763 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0194 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5537 |

## ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისთვის




## 4 სექტემბრიდან




### ვახუშტი კოტეტიშვილი აკლდამა ჩემთა ოცნებათა

ქალბატონ ნანა კოტეტიშვილის მიერ შედგენილ კრებულში შესულია პოეტის როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ლექსები, რომლებიც მანამდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 2 სექტემბრიდან




### ჯონ სტაინბეკი რუსული დღიური

სადილად ოთხასი გრამი არაყი, დიდი თასი სავსე შავი ხიზილალით, კომბოსტოს წვნიანი, სტეიკი, შემწვარი კარტოფილი, ყველი და ორი ბოთლი ღვინო მოგვართვეს. ას ათ დოლარამდე დაგვიჯდა ხუთ კაცს. იმ დროს საელჩოში დოლარად თორმეტ რუბლს ყიდულობდი. მომსახურებისთვის ორსაათ-ნახევარი დასჭირდათ, რამაც ოდნავ შეგვაშფოთა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ შეკვეთის ასე გვიან მოტანა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ყოფილა და ისიც გავიგეთ, რა არის გაჭიანურების მიზეზი.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## ჯო ჰარტი ოფიციალურად ტორინოს გოლკიპერია

ინგლისის ნაკრების მეკარე ჯო ჰარტი ოფიციალურად ტორინოს ფეხბურთელია. ჰარტი იტალიაში ჩაფრინდა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტს ხელს მოაწერს.



ჰარტი ტორინოში იჯარით გადავიდა და ის იტალიაში ერთ წელიწადს დაჰყოფს.

მანჩესტერ სიტიდან მისი წასვლის მიზეზი გვარდიოლა გახდა, რომელმაც ინგლისელი მეკარე აითვალწუნა და გუნდში ბარსელონადან კლაუდიო ბრავო მიიყვანა. ბუნებრივია, ჰარტი ვერ შეეგუა სათადარიგო სკამზე ჯდომას, ამიტომ მან სხვა კლუბში გადასვლა ამჯობინა, თუმცა მასზე უფლებები ისევ მანჩესტერ სიტის ეკუთვნის.

ჰარტი მეკარესთვის ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა. ის მხოლოდ 29 წლის არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რაო, რა გითხრა გრაფოლოგმა შენ ხელწერას რომ სწავლობდა?

– რა და, ბოროტი და აგრესიული ხარო.

– მერე, შენ რა უპასუხე?

– სიფათი მივუნგრიე!

●●●

ორი დაქალი კამათობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სულაც არ ვარ მსუქანი! ჩემი გიგი მეუბნება, რომ მე იდეალური ფიგურა მაქვს.

– შენი გიგი ხომ მათემატიკოსია?

– მერე რა?

– რა და მისთვის იდეალური ფიგურა ბურთია.

●●●

ორი დაქალი კამათობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სულაც არ ვარ მსუქანი! ჩემი გიგი მეუბნება, რომ მე იდეალური ფიგურა მაქვს.

– შენი გიგი ხომ მათემატიკოსია?

– მერე რა?

– რა და მისთვის იდეალური ფიგურა ბურთია.

●●●

ქორწილიდან ორი თვის თავზე დედა გათხოვილ შვილს ესტუმრება და ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის ოჯახური ცხოვრება? ქმარი როგორ გექცევა?

– ყველაფერი შესანიშნავადაა! საჩუქრებს მჩუქნის, რასაც კი მოვისურვებ, ყველაფერს ყიდულობს!

– გასაგებია. ე.ი. ცოტას ითხოვ!

●●●

სამზარეულოს კარადის წინ მდგომი ქმარი ცოლს გასძახებს:

– ძვირფასო, ჩაი სად არის? ვერ ვპოულობ.

– ოჰ, როგორი მიუხვედრელი და უსუსური ხარ. რამდენჯერ უნდა აგიხსნა, რომ ჩაის პაკეტები აწყვია ყავის კოლოფში, რომელსაც აწერია „მარილი“ და აფთიაქის კოლოფში დევს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს ავტობუსზე დამაგვიანდა. ვხედავ, ავტობუსი დაიძრა და მეც ფეხით გამოვეკიდე, მივდევ, მივდევ და, როგორც ჩანს, მძღოლმა დამინახა და ავტობუსი გააჩერა.

– მერე, ახვედი ავტობუსში?

– ხომ იცი, როგორი ამაყი ვარ, გვერდით ჩავურბინე და გზა განვაგრძე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 1 სექტემბრიდან




### მე და ჩემი წილი მამა

მანანა ამირეჯიბი

ეს წიგნი-აღსარებაა... ავტორი შემაცბუნებელი გულახდილობით მოგვითხრობს თავის თავზე, თავისიანებზე, ნაცნობ-მეგობრებზე, ანუ საბოლოო ჯამში – ცხოვრებაზე.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

## მილანს ფაბრეგასის ყიდვა სურს



სესკ ფაბრეგასი ლონდონის ჩელსიში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, ამიტომ შესაძლოა ის იჯარით სხვა გუნდში გადავიდეს. მის მიმართ ინტერესს მილანი იჩენს, თუმცა ტრანსფერის განსახორციელებლად საკმაოდ მცირე დრო არის დარჩენილი.

არ არის გამორიცხული, ფაბრეგასი მილანში ზამთარში გადავიდეს, მანამდე კი მას ჩელსიში ყოფნა მოუწევს, სადაც ის ბოლო პერიოდში საკმაოდ იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

ჩელსის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ ფაბრეგასმა, ისე როგორც ყველა ფეხბურთელმა, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბევრი უნდა იმუშაოს.

## ლესტერმა ახალი ფორვარდი იყიდა



ლესტერმა სატრანსფერო ფანჯარა ახალი ფორვარდის შეძენით დახურა. ინგლისის ჩემპიონებმა 28 წლის ალჟირელი ფორვარდი ისლამ სლიმანი იყიდეს, რომელიც ლისაბონის სპორტინგის ღირსებას იცავდა. ლესტერმა ამ ტრანსფერში თავისთვის რეკორდული თანხა 35 მილიონი ევრო გადაიხადა, ფეხბურთელი კი ინგლისში უახლოეს დღეებში ჩაფრინდება.

სლიმანიმ შარშანდელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და პორტუგალიის ჩემპიონატში 33 შეხვედრაში 27 გოლის გატანა შეძლო. სლიმანი ალჟირის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სტადიონი მეხიკოში; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. არაკეთილხმოვანება მუსიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 16. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

**თარაზულად:** 1. სახლის ზედა ნახევარსართული; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ქალის გულზე საკიდი სამკაული; 10. საქონლის ჩლიქებისა და ფაშვისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 13. პურეული მცენარე; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. მინაზე ან გამჭვირვალე ქსოვილზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 18. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. ორცოლიანობა, ორქმრიანობა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი